პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 5 ნოემბერი, 1949 წ. № 220 (8523). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით, წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

საქართველოს მევენახეთა სერიოზული გამარჯვება

ოცი წლის წინათ, საკოლმეურნეო მოძრაობის მასობრივად დაწყების გარიჟრაჟზე ნაშრომში „დიადი გარდატეხის წელი“ დიდი სტალინი წერდა: „განა ცხადი არ არის, რომ ჩვენს ახალგაზრდა მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებას (კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი) დიდი მომავალი აქვს, რომ იგი გამოიჩენს ზრდის სასწაულებს?“

ცხოვრებამ დაადასტურა ამხანაგ სტალინის წინასწარგანჭვრეტა. ჩვენმა მსხვილმა სოციალისტურმა მიწათმოქმედებამ, რომელმაც გაიმარჯვა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, მართლაც სასწაულები მოახდინა. სწრაფად ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა. ის უზრუნველჰყოფს ჩვენს ქვეყანას სურსათით და ნედლეულით. მან შეუქმნა მშრომელ გლეხობას შეძლებული და საამური ცხოვრება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომელნიც აღჭურვილი არიან უახლესი ტექნიკით, მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებით, მოყავთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის განუხრელად მზარდი მოსავალი.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად დაუღალავად შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ. მას ყოველწლიურად მოყავს ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, თამბაქოს, ხორბლის და სხვა კულტურების საუკეთესო მოსავალი, წარმატებით ასრულებს პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის ყველა დავალებას.

სერიოზული წარმატებებია მოპოვებული მიმდინარე წელსაც. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უკვე შეასრულეს წლიური დავალებანი ჩაის ფოთლის კრეფის, მარცვლეულის დამზადების, აბრეშუმის პარკის მოყვანის დარგში. გეგმის გადამეტებით იკრიფება ჩაი და მზადდება მარცვლეული. მოყვანილია თამბაქოსა და ბამბის კარგი მოსავალი. გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა დიდი სტალინისათვის საქართველოდან გაგზავნილი პატაკი, რომელიც გვაუწყებს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ახალ გამარჯვებას: კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა. 25 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა გეგმით გათვალისწინებული 440 ათასი ცენტნერის ნაცვლად 460.970 ცენტნერი ყურძენი, ანუ 28.900 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1948 წელს. საქართველოს მშრომელებმა პირობა მისცეს დიდ ბელადს, რომ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარებენ 80 ათას ცენტნერ ყურძენს.

საქართველოს ასეთი რაოდენობით არასოდეს არ დაუმზადებია ყურძენი. ჩვენმა მევენახეებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავზე საუკეთესო საჩუქარი მიუძღვნეს სამშობლოს.

მევენახეთა ეს დიდი გამარჯვება მოპოვებულია თავდადებული შრომით, ვენახების საუკეთესოდ მოვლით, მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ დანერგვით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გადაჭრით გაძლიერებით.

წელს არაჩვეულებრივად გაიზარდა ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები. სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში სიკო ჭაბაშვილის ბრიგადამ 10,5 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე მოიყვანა 153 ცენტნერი ყურძენი. ამავე ბრიგადის მერგოლურმა ვლადიმერ გელაშვილმა 3,2 ჰექტარ ვენახში ჰექტარზე მოიყვანა 174 ცენტნერი ყურძენი, რომან მილაშვილმა კი 3 ჰექტარ ვენახში ჰექტარზე—168 ცენტნერი. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ დეისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა სერგო ფოცხვერაშვილმა 3 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 105 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი 36 ცენტნერს ითვალისწინებდა. წინანდლის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა პარმენ ლომიძემ 10 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე მიიღო 105,8 ცენტნერი ყურძენი. ხერსის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურმა ლადო მოსაშვილმა 12 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერის ნაცვლად უზრუნველყო 125 ცენტნერი ყურძნის მოყვანა. მიმდინარე წელს ყურძნის ასეთი მოსავალი მასობრივ მოვლენად გადაიქცა.

რაიონებმა, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ყურძნის დამზადების წლიური გეგმა, ახალი ვალდებულებანი იკისრეს და კიდეც ანაღდებენ მათ. მაგალითად, ზესტაფონის რაიონმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით ჩაებარებინა 12.000 ცენტნერი ყურძენი, თელავის რაიონმა—12.000 ცენტნერი, გურჯაანის რაიონმა—8.000 ცენტნერი, მაიაკოვსკის რაიონმა—6.400 ცენტნერი, ორჯონიკიძის რაიონმა — 6.000 ცენტნერი. ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად გაჩაღებულია მუშაობა. ზესტაფონის, გურჯაანის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის და ბევრი სხვა რაიონის მევენახეებმა უკვე გადაჭარბეს ნაკისრ ვალდებულებებს.

მაგრამ ყურძნის მიღება-გადამუშავების დარგში ჯერ კიდევ ვხედებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. თელავის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონებში ადგილი აქვს ყურძნის დროულად მიუღებლობის ცალკეულ შემთხვევებს, ყურძნის მიღება-გადამუშავების დროს სათანადო წესების დაუცველობას. ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება, ყურძნის მთელი მოსავლის სწრაფად აღება და უდანაკარგოდ გადამუშავება, დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვის განაღდება მევენახეობის მუშაკთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. მევენახეთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება დიდად შეუწყობს ხელს ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

ამასთანავე მევენახეებმა უნდა იზრუნონ მომავალ წელს ყურძნის მოსავლიანობის კიდევ უფრო გასაადიდებლად. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას. ყურძნის უხვ მოსავალს მომავალ წელს ის კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მოიყვანს, რომელიც ამთავითვე გულმოდგინედ ჩაატარებს საზამთრო სამუშაოებს, კარგად გამოიყენებს სოციალისტური შრომის გმირების, ორდენოსნებისა და მედალოსნების გამოცდილებას. ახალი, უფრო მნიშვნელოვანი წარმატებებისაკენ მოუწოდებს ბოლშევიკური პარტია სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში ნათქვამია: „სოფლის მეურნეობის მშრომელნო! ამრავლეთ სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმატებანი! შეკმნათ მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე!“

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევანი, ამრავლონ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი სიმდიდრე, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, მტკიცედ დაიცვან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი.

სოფლის მშრომელები ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მოწოდებამ აღაფრთოვანა ახალი შრომითი მამაცობისათვის.

უეჭველია, საქართველოს მევენახეები არ დათმობენ მოწინავეთა რიგებს, პარტიული ორგანიზაციების კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობით სახელოვნად შეასრულებენ დიდი სტალინის წინაშე ნაკისრ სერიოზულ ვალდებულებას, ახალ წარმატებას მოიპოვებენ მევენახეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს რწმუნებების სიგელები გადასცა ჩინეთის ელჩმა ბ-ნმა ვან ძია-სიანმა

3 ნოემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვან ძია-სიანი, რომელმაც გადასცა მას რწმუნების სიგელები.

ბ-ნ ვან ძია-სიანს თან ახლდნენ საელჩოს მრჩევლები ბ-ნები ცენ იუნ-ციუანი, გე ბაო-ციუანი, სიუი ძე-ფანი. სამხედრო ატაშე გენერალ-ლეიტენანტი ბიან ჯან-უ და საელჩოს მდივანი ბ-ნი ჯან გუანი, რომლებიც ელჩმა წარუდგინა ნ. მ. შვერნიკს.

რწმუნების სიგელებს გადაცემას შემდეგ ნ. მ. შვერნიკი ესაუბრა ბ-ნ ვან ძია-სიანს. საუბარში მონაწილეობა მიიღო ა. ი. ლავრენტიევმა. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ლენინის ორდენოსანი აკადემიის საიუბილეო სესიის მონაწილეთა

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სჯალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ჩვენ, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ლენინის ორდენოსანი აკადემიის საიუბილეო სესიის მონაწილენი, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, და გისურვებთ ჯანმრთელობასა და მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემია, რომელსაც დიდი ლენინის სახელი ეწოდა, თქვენი მითითებით შეიქმნა 1929 წელს, დიადი გარდატეხის ისტორიულ წელს, როცა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თქვენს მიერ შემუშავებული თეორიის საფუძველზე და თქვენი წინამძღოლობით ხორციელდებოდა უდიდესი რევოლუციური გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარ რევოლუციურ გადატრიალებას უდრის. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ განუსაზღვრელი შესაძლებლობანი შექმნა მოწინავე ბიოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განსავითარებლად.

ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ლენინის ორდენოსანი აკადემიის წინაშე დასახეს საპატიო ამოცანები: დაეხმაროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თავისი წარმოება ააგონ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მონაცემთა საფუძველზე, გაადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, გაზარდონ პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ ამოცანების გადაჭრის მძლავრ იარაღს წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მიჩურინული მატერიალისტური მეცნიერება, რომელიც დამყარებულია დიალექტიკური მატერიალიზმის ყოვლისმძლე ძალაზე, რამაც ყოველმხრივი განვითარება თქვენს გენიალურ ნაშრომებში პოვა.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, შორსმჭვრეტელურად დაინახეთ მიჩურინის მოძღვრებაში ჩვენი ბუნებისმეტყველების მომავალი, ეს მოძღვრება შეუნარჩუნეთ მოწინავე მეცნიერებას, მთელ პროგრესულ კაცობრიობას.

თქვენი ხელმძღვანელობით და თქვენი მამობრივი მზრუნველობისა და დახმარების მეოხებით გაიზარდა მიჩურინის მოძღვრების ნიჭიერ მიმდევართა მრავალრიცხოვანი რაზმი, მოძღვრებისა, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება კოლმეურნე გლეხობის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის კუთვნილება.

მოწინავე მიჩურინული მოძღვრების დროშა ახლა მეცნიერების მუშაკებთან ერთად უჭირავთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, სოციალისტური შრომის გმირებს, უხვი მოსავლისა და მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის ოსტატებს.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში ვხელმძღვანელობთ თქვენი მითითებებით მოწინავე მეცნიერების შესახებ, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხთან და მოწოდებულია ემსახუროს ხალხს. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკები, რომლებიც აძლიერებენ მეცნიერების კავშირს წარმოებასთან, ეხმარებიან კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის, როგორც სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობის შექმნისათვის ბრძოლაში. მეცნიერებისა და პრაქტიკის მუდმივი განუყოფელი კავშირი მოწინავე მიჩურინული მეცნიერების შემდგომი აყვავების უშრეტი ცხოველმყოფელი წყაროა.

ბიოლოგიური მეცნიერება მუდამ იყო ორი მოწინააღმდეგე და შეურიგებელი მიმართულების — მატერიალისტური და იდეალისტური მიმართულებების გააფთრებული იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზი. აკადემიის 1948 წლის აგვისტოს სესია ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ბიოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისათვის.

დიდად გმადლობთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, იმისათვის, რომ თქვენ აღგვაფრთოვანეთ და შეგვაიარაღეთ რეაქციული, ცრუმეცნიერული ვეისმანიზმ-მორგანიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის შედეგადაც მოპოვებულ იქნა მოწინავე მიჩურინული მეცნიერების სრული გამარჯვება.

მიჩურინული ბიოლოგიის ძირითადი დებულება შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობითობის შესახებ, საყოველთაოდ აღიარებული გახდა საბჭოთა ბიოლოგებს შორის. ეს დებულება უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს ადამიანისათვის სასარგებლო მცენარეების, ცხოველებისა და ნიადაგის ბუნების გარდასაქმნელად უაღრესად ყოველმხრივი და ყოველნაირი სამეცნიერო გამოკვლევების განვითარებისათვის.

ჩვენი სამშობლოს ველიანი და ტყეველიანი რაიონების ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა, შემუშავებული თქვენი თაოსნობით და თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით, წარმოადგენს მოწინავე მეცნიერების ერთ-ერთ უაღრესად გენიალურ ქმნილებას, მიწათმოქმედების მაღალი კულტურისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის დიად პროგრამას.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, რომ ტიმირიაზევის, მიჩურინის, ვილიამსის ნაშრომებში განვითარებულ, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ბიოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებაზე დაყრდნობით მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ იმას, რომ წარმატებით და ვადამდე შეასრულოთ ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა.

საზოგადოებრივი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა წარმოადგენს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაფიდებისათვის თქვენი, ამხანაგო სტალინ, მზრუნველობის მკაფიო გამოვლინებას.

ვალდებულებას ვკისრულობთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, მოწინავე მიჩურინული ბიოლოგიის საფუძველზე ყოველმხრივ დავეხმაროთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმატებით გადაჭრან საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის ამოცანა — სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ეს ცენტრალური ამოცანა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას.

ვალდებულებას ვკისრულობთ, ამხანაგო სტალინ, რომ დაუღალავად ვიმუშავებთ არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების უფრო ეფექტიანად გამოყენებასა და ახალი, უფრო სრულყოფილი და ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნაზე და ყოველმხრივ დახმარებას გავუწევთ მედინდვრეობისა და მეცხოველეობის ელექტროფიკაციის განვითარებას.

ვალდებულებას ვკისრულობთ დაუღალავად ვიმუშაოთ კოლმეურნეობათა შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების, მათი საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლების, კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებზე.

ჩვენი პარტიისა და მთავრობისადმი, პირადად თქვენდამი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, დიდი მადლობის გრძნობით შევხვდით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ეს მაღალი ჯილდოები ერთხელ კიდევ მოწმობენ მეცნიერების ადამიანებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას, რასაც იჩენენ ჩვენი პარტია და მთავრობა, იჩენთ პირადად თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე.

პირობას გაძლევთ, ჩვენო ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, რომ ყოველივეს გავაკეთებთ იმისათვის, რათა გავამართლოთ ის დიდი ნდობა, რაც პარტიამ და მთავრობამ და პირადად თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძე, აღმოგვიჩინეთ. მთელ ჩვენს ცოდნას მოვახმართ მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების შემდგომ განვითარებას, კომუნიზმის აშენების საქმეს.

გაუმარჯოს მოწინავე მიჩურინულ მეცნიერებას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს მეცნიერების დიდ კორიფეს, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს ძვირფას და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

მიღებულია ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ლენინის ორდენოსანი აკადემიის საიუბილეო სესიაზე 1949 წლის 29 ოქტომბერს

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 12.000 ცენტნერი ყურძენი

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 101 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. სეხნიაშვილი და მშრომელთა დეპუტატების თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. უთიაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 12.000 ცენტნერი ყურძენი.

როგორ ასრულებენ მევენახეები ნაკისრ ვალდებულებებს

გურჯაანის რაიონს ნაკისრი ჰქონდა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა 8.000 ცენტნერი ყურძენი. უკვე ჩაბარებულია 11.541 ცენტნერი.

ორჯონიკიძის რაიონმა ვალდებულება აკისრა სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით ჩაებარებინა 6.000 ცენტნერი ყურძენი, ფაქტიურად ჩაბარებულია 7.000 ცენტნერი.

ვანის რაიონმა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 4.000 ცენტნერი ყურძენი, ვალდებულება კი 2.500 ცენტნერს ითვალისწინებდა.

მაიაკოვსკის რაიონმა შეასრულა აღებული ვალდებულება, გეგმის გადამეტებით ჩააბარა 6.400 ცენტნერი ყურძენი და დამატებით იკისრა კიდევ 1.000 ცენტნერი ყურძნის ჩაბარება.

სოციალისტური შრომის გმირები

ლ. ი. ხურციძე

მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 7.710 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ხ. ბ. ყუფუნია

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.326 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ს. ა. ჭელებაძე

ქობულეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.750 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



მ. ს. ჭითანავა

ხობის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 255 ფხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 457 ლიმონის მოყვანისათვის.

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

მოწოდებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისათვის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ძმური სალამით მიმართავს დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლ ყველა ხალხს, მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ყველა მებრძოლს.

მისალმების მგზნებარე სიტყვები მიმართულია პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ალბანეთის ხალხებისადმი, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ. გულში ჩამწვდომია სიტყვები მისალმებისა დიდი ჩინელი ხალხისადმი, რომელმაც თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა და სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო შექმნა. ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისადმი მოწოდებაში გამოთქმულია გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალების გამარჯვებისადმი რწმენა. ბოლშევიკური პარტია მისალმების მგზნებარე სიტყვებით მიმართავს კორეის ერთიან სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყველა ქვეყნის მშრომელთ მოუწოდებს ამხილონ ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმები, გააერთიანონ მთელი ძალები მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის საბრძოლველად. მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა. მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში იზრდება და მტკიცდება ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი გამოხატავენ მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი თავიანთი ძმებისადმი საბჭოთა ადამიანების სიყვარულისა და სიმპათიის ღრმა გრძნობებს. ეს მოწოდებანი განსაკუთრებული ძალით ცხადყოფენ სოციალიზმისა და დემოკრატიის დიდი და უძლეველი ბანაკის ძლიერებას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პრინციპების გამარჯვებას.

ოცდაორი წლის წინათ თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი“ ამხანაგი სტალინი წერდა: „ოქტომბრის რევოლუცია არ არის რევოლუცია მხოლოდ „ნაციონალურ ჩარჩოებში“. იგი, უწინარეს ყოვლისა, არის ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია, რადგან ოქტომბრის რევოლუცია ნიშნავს ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ“.

სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ძალების მძლავრი ზრდა ოქტომბრის დიადი იდეების გამარჯვებაა, ლენინ-სტალინის იდეების ტრიუმფია.

სოციალიზმის მშენებლობის გზას ახლა დაადგნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა კავშირთან ერთად სოციალიზმისა და დემოკრატიის ძლიერი ბანაკის მტკიცე ბირთვს შეადგენენ. ამ ქვეყნებში დამკვიდრებული სახალხო დემოკრატიის რეჟიმი წარმოადგენს მშრომელთა ხელისუფლებას მუშათა კლასის ხელმძღვანელობით და პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს ასრულებს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად სარგებლობენ საკუთარი შრომის ნაყოფით. მუშაობენ რა თავისთვის და არა ექსპლოატატორებისათვის, მუშები, გლეხები, მოწინავე ინტელიგენცია ძალღონეს არა ზოგავენ, ოღონდ ამრავლონ თავიანთი სამშობლოს სიმდიდრე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის გამოცდილებას.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ურთიერთდახმარება და მჭიდრო მეგობრობა სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებში წარმატებითი სოციალისტური შშენებლობის გადამწყვეტი პირობაა. კომუნისტური და მუშათა პარტიები დიდ მუშაობას ეწევიან მასების აღსაზრდელად მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი თავდადების სულისკვეთებით.

საბჭოთა ადამიანები გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს ბრძოლასა და შრომაში თავიანთი ძმების ცხოვრებას, გულდასმით სწავლობენ ახლის ყლორტებს, უხარიათ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებანი. საბჭოთა ადამიანებისათვის სასიამოვნო და სასახარულოა წარმატებანი პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, დემოკრატიული კორეის მშრომელებისა, რომლებიც წარმატებით ასრულებენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებს და რომლებმაც ხალხის მატერიალური დონის ახალ აღმავლობას მიაღწიეს.

სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა ყოველი ახალი გამარჯვება შრომის ფრონტზე ლახვარია ახალი ომის გამჩაღებელთათვის ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებისა და მათი აგენტების ბანაკიდან.

დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალები დღითი დღე იზრდება და მტკიცდება. ყველა ქვეყანაში ჩაღდება მძლავრი მოძრაობა მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტი გამჩაღებლების წინააღმდეგ. ფართოვდება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ბრძოლა თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური უფლებებისათვის, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. უმაგალითო აღმავლობას მიაღწია კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. პროგრესისა და მშვიდობის ძალებს სათავეში უდგას დიდი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთორმეტე წლისთავს საბჭოთა ხალხი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული უდიდესი მიღწევებით ეგებება. საბჭოთების ქვეყანა ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი და მტკიცე, როგორიც იგი თავის სახელოვან იუბილეს ეგებება. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელმაც ბრწყინვალედ გაუძლო ყველა განსაცდელს, კიდევ უფრო განმტკიცდა ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში. განუზომლად გაძლიერდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი საერთაშორისო ცხოვრებაში.

ოცდაათი წლის წინათ, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას გარს ერტყა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა არმიები, დიდი ლენინი ურყევ რწმენას გამოთქვამდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავის ყველა მტერზე გაიმარჯვებდა. იგი ამ რწმენას უნერგავდა ფართო მშრომელ მასებს, აცხადებდა რა, რომ მტრების მოძალებით განაწამებმა და შევიწროებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ, მიუხედავად ამისა, უკვე გაიმარჯვა, რადგან მშრომელთა მასების თანაგრძნობა ყველგან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა.

რაღა უნდა ითქვას დღეს, როცა სოციალიზმის ძალები განუზომლად გაიზარდა, როცა საბჭოთა კავშირის შემდეგ სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა ასეულ მილიონობით მშრომელი დასავლეთსა და აღმოსავლეთში, როცა მთელი მსოფლიოს მშრომელები თვალხალავ დარწმუნდნენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობაში კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

გონებადაკარგული იმპერიალისტი მტაცებლები, რომლებიც მხეცური სიძულვილით არიან გამსჭვალული საბჭოთა კავშირისადმი და მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი, ამზადებენ ახალ ომს, მიმართავენ ბრძოლის უაღრესად სასოწარკვეთილ საშუალებებსა და მეთოდებს სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ, საზოგადოების ნაძირალებში აგროვებენ ჯაშუშებსა და მკვლელებს, როგორიც არიან ტიტორანკოვიჩის ხროვის საზიზღარი ფაშისტი-გესტაპოელი აგენტები. იმპერიალისტების ოინებს მშრომელები უპასუხებენ რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებით, სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლის გაძლიერებით, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გარშემო თავიანთი რიგების დარაზმვით.

ამ ბრძოლაში, რომელშიც ჩაბმულია მილიონობით ადამიანი, გაიმარჯვებს მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ძლიერი ბანაკი.

მიდის რა ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენები გზით, საბჭოთა ხალხმა თავისი დიადი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა სოციალიზმი, მოიპოვა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ მათ პირველად დაამარცხეს დედამიწის მეექვსედ ნაწილზე საზარელი მხეცი — კაპიტალიზმი. საბჭოთა ადამიანები ბედნიერი არიან, რომ მათ ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს მათი ისტორიის უაღრესად ტრაგიკულ დღეებში, გაათავისუფლეს ეს ხალხები ფაშისტ დამპყრობთა უღლისაგან. საბჭოთა ხალხი ამაყობს იმით, რომ ძლევამოსილი სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებით, რაც მან შეიძინა დიდი ბელადებისა და მასწავლებლების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, ამყამად აღჭურვილი არიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები და ამ გამოცდილებამ უკვე მოუპოვა მათ პირველი წარმატებანი სოციალიზმის გზაზე.

საბჭოთა ხალხი უდიდესი სიამაყით წარმოთქვამს თავისი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო მოწოდებას:

— ᲫᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ 4-XI ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

დამთავრდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის განყოფილების გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელიც თბილისში ძიდინარეობდა.

სესიის პირველი სხდომის გახსნისას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ ეს სამეცნიერო სესია არის ახალი რგოლი რუს და ქართველ მეცნიერთა მჭიდრო შემოქმედებითს თანამეგობრობაში, ერთ-ერთი გამოხატულება იმ დახმარებისა, რომელსაც სსრ კავშირის აკადემია უწევს მოკავშირე რესპუბლიკათა სამეცნიერო ორგანიზაციებს.

სესიის მუშაობაში, რამაც რესპუბლიკის მეცნიერთა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია, მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერებმა—აკადემიკოსებმა მ. მ. დუბინინმა, ს. მ. ვოლფკოვიჩმა, ვ. მ. როდიონოვმა, გ. გ. ურაზოვმა, ა. ნ. ტერენინმა, პ. ა. რებინდერმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ი. ნ. ნაზაროვმა, ბ. ვ. ნეკრასოვმა, ა. დ. პეტროვმა, ნ. კ. სირკინმა და სხვებმა, აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის გ. ვ. ციციშვილის მოხსენება „ფლუორიანი წყალბადის ასოციაცია“. აკადემიკოსმა მ. მ. დუბინინმა წაიკითხა მოხსენება „ადსორბენტების ადსორბცია და სტრუქტურა“. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ე. შიშნიაშვილმა გააკეთა მოხსენება „ალუმინაჟადიან ჰელიუმებზე ელექტროლიტთა ადსორბცია და ალუმინის ძირითადი მარილები“.

მეორე სხდომაზე მოისმინეს ოთხი მოხსენება.

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა ხ. ი. არეშიძემ წაიკითხა თავისი ნაშრომი „გუმბრინთან ოლეფინთა და ციკლოლეფინთა იზომერიზაცია“. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ფ. პლატემ წაიკითხა მოხსენება, რომელიც მან დაამუშავა აკადემიკოს ბ. ა. კაზანსკისთან ერთად. მოხსენების თემაა „ნავთის ბენზინთა ინდივიდუალური შედგენილობის გამოკვლევის შესახებ“. აკადემიკოსმა ა. ნ. ფრუმკინმა გააკეთა მოხსენება „ელექტროქიმიური პროცესების თეორიის განვითარება“. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. ვ. ტანანაევის მოხსენების თემა იყო „ლითონთა ფეროციანიდების ქიმია და მათი მნიშვნელობა ანალიზურ ქიმიაში“.

სესიის მესამე სხდომა დაიწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. ნ. ნაზაროვის მოხსენებით „სტეროიდულ შენაერთთა და მათ მონათესავე ნივთიერებათა სინთეზი“. მოხსენება „აცეტილხოლინის გავლენით კალიუმთა სისტემაში წონასწორობის ცვლილების გამოკვლევანი“ წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ა. ქომეთიანმა.

სხდომა დამთავრდა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. პ. გოგუაძის მოხსენებით თემაზე „ზოგიერთი გამოკვლევა სტეროიდულ შენაერთთა დარგში“.

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲙᲠᲔᲤᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (ტელეფონით საკ. კორ.). აფხაზეთში მასობრივად გაჩაღდა ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა. უკვე მოკრეფილია 13 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი. მოსავალი საუკეთესოა. კოხორის საბჭოთა მეურნეობამ უკვე მოკრიფა 5 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი. დანიშნულებისამებრ გაგზავნილია 14 ვაგონი ციტრუსი. სოციალისტური შრომის გმირმა ხ. ქვანიამ მისთვის მიჩენილ ნაკვეთზე მოკრიფა 990.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. გონჩაროვამ კი—820.000.

გაძლიერებული ტემპით წარმოებს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ გადამუშავებულია და დანიშნულებისამებრ არის გადგზავნილი 11 ვაგონი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

აფხაზეთის მეციტრუსეები აძლიერებენ ციტრუსოვანთა კრეფას, რათა სადღესასწაულოდ მეტი ნაყოფი მისცენ ჩვენს ქვეყანას.

ᲤᲝᲗᲝᲔᲚ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲐ

ᲤᲝᲗᲘ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორ.). კოლმეურნეები ახალი წარმატებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს. ჭალადიდის კოლმეურნეობა „ოქტომბერმა“ სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანა. 240 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობამ 40 ცენტნერს მიაღწია. მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა სოციალისტური შრომის გმირმა სერგო მარუაშვილმა 35 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 37 ცენტნერი სიმინდი მოიწია, საგრძნობლად გადააჭარბა სოიას და ლობიოს მოსავლიანობის გეგმას.

ამ კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა ძიკა გვაძაბიამ 13 ჰექტარზე საშუალოდ 43 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

სიმინდის კარგი მოსავალი მოიწიეს საქორქიოს მახარაძის, საგვიჩიოს პირველი მაისის და ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

(ი. ბ. სტალინის ნაშრომის „დიადი გარდატეხის წელის“ 20 წლისთავის გამო)

ოცი წელი შესრულდა, რაც გამოქვეყნდა დიდი სტალინის ნაშრომი „დიადი გარდატეხის წელი“. ამ შესანიშნავ ნაშრომში მოცემულია ღრმა თეორიული ანალიზი სამეურნეო წარმატებებისა, რაც 1929 წელს ბოლშევიკურმა პარტიამ მოიპოვა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

„განვლილი წელიწადი, — წერდა ამხანაგი სტალინი,—დიადი გარდატეხის წელი იყო სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ეს გარდატეხა მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის გადამწყვეტი **შეტევის** ნიშნით. ამ შეტევის ღამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მან უკვე მოგვცა მთელი რიგი გადამწყვეტი **წარმატებანი** ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის (რეკონსტრუქციის) ძირითად დარგებში“.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ახალი ვითარების გენიალური ანალიზი და დასახა მორიგი ამოცანები.

ამხანაგმა სტალინმა უპირველეს ყოვლისა დაახასიათა ჩვენი წარმატებანი შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, ტროცკისტ-ბუხარინელი კაპიტულანტებისა და მოღალატეების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში, პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგად 1928 წელს მოხდა გადამწყვეტი გარდატეხა შრომის ნაყოფიერების დარგში. თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე გაჩაღდა ენერგიული ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, რაც ბოჭავდა მასების შრომითს ინიციატივასა და აქტივობას. მუშებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას. 1929 წლის აპრილში XVI პარტკონფერენციის მიერ მიღებულ მომართვას სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ მშრომელებმა უპასუხეს მძლავრი შრომითი აღმავლობით. სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით გამოიხატა სრულიად ახალი დამოკიდებულება შრომისადმი. მუშები, კოლმეურნეები არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს. შრომა გადაიქცა ღირსების, სიმამაცისა და გმირობის საქმედ.

ყოველივე ამას მოჰყვა შრომის ნაყოფიერების უმაგალითო ზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა, შემდეგ, დაახასიათა ჩვენი წარმატებანი მრეწველობის მშენებლობის დარგში. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიის სერიოზული მიღწევა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში. საბჭოთა ხალხი წარმატებით ასრულებდა პირველი ხუთწლედის ამოცანას — ჩვენი ქვეყნის გადაქცევას აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინდუსტრიალიზაციისათვის მძიმე მრეწველობის განვითარებას. თავის სტატიაში იგი წერდა: „...მძიმე მრეწველობის განუვითარებლად ჩვენ ვერავითარ მრეწველობას ვერ ავაშენებთ, ვერავითარ ინდუსტრიალიზაციას ვერ გავატარებთ“. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა ახალი გიგანტური სამრეწველო მშენებლობა. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მძიმე ინდუსტრიას. თუ კაპიტალური დაბანდებანი მსხვილ მრეწველობაში 1928 წელს შეადგენდა 1.600 მილიონ მანეთზე მეტს, აქედან 1.300 მილიონ მანეთამდე მოხმარდა მძიმე მრეწველობას. 1929 წელს კაპიტალური დაბანდებანი მსხვილ მრეწველობაში შეადგენდა 3.400 მილიონ მანეთზე მეტს, ხოლო აქედან 2.500 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა მძიმე მრეწველობას.

ამ პერიოდში ძირითადად გადაწყდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი უძნელესი ამოცანა—მძიმე მრეწველობისათვის სახსრების დაგროვების ამოცანა. „ისტორია ჯერ კიდევ არ იცნობდა ახალი სამრეწველო მშენებლობის ასეთ გიგანტურ გაქანებას, სახალი მშენებლობის ასეთ პათოსს, მუშათა კლასის მილიონნიანი მასების ასეთ შრომითს გმირობას“,—ამბობდა ამხანაგი სტალინი.

დიდმა სტალინმა ამხილა ტროცკისტ-ბუხარინელი მოღალატეებისა და გამცემლების ცდები ძირი გამოეთხარათ ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიული მშენებლობისათვის. ბრძენმა ბელადმა მოუწოდა პარტიას ბოლშევიკურად გადაელახა ყოველგვარი სიძნელე და კიდევ უფრო დაეჩქარებინა ინდუსტრიალიზაციის ტემპი.

სტატიაში „დიადი გარდატეხის წელი“ ამხანაგმა სტალინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით დააყენა სოციალისტური მრეწველობისათვის კადრების მომზადების პრობლემა, როგორც სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტი პრობლემა. დიდი სტალინი წერდა: „...მიუხედავად მეტად სერიოზული მიღწევებისა დაგროვების დარგში, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მძიმე მრეწველობისათვის, მძიმე მრეწველობის ამენების პრობლემა არ შეიძლება საკუთრივ გადაჭრილად ჩაითვალოს, ვიდრე არ გადაიჭრება კადრების პრობლემა.

აქედან პარტიის ამოცანა — უშუალოდ შეუდგეს კადრების პრობლემის გადაჭრას და აუცილებლად დაეუფლოს ამ ციხე-სიმაგრეს“.

ბოლშევიკურმა პარტიამ წარმატებით შეასრულა დიდი სტალინის ეს მითითება. ახლა ჩვენ გვყავს საუკეთესო კადრები სოციალისტური მრეწველობის ყველა დარგში. პარტიამ მზრუნველობით გამოზარდა სპეციალისტები მუშათა კლასის წრიდან. ეს კადრები მტკიცედ დაეუფლნენ ახალ ტექნიკას და წარმატებით უძღვებიან საქმეს.

ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის გამარჯვებამ, სტალინურმა ხუთწლედებმა ჩვენი ქვეყანა ძლიერ და მტრისათვის მიუვალ სიმაგრედ აქცია.

ამხანაგმა სტალინმა შემდეგ დაახასიათა ჩვენი მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში. ეს მიღწევები საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე ორგანულად არის დაკავშირებული ორ პირველ მიღწევასთან. ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის გაძარჯვებამ შექმნა პირობები სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ეს პირობები კარგად გამოიყენა ჩვენმა პარტიამ და 1929 წელს მიაღწია ძირფესვიან გარდატეხას მიწათმოქმედების განვითარებაში. გლეხთა მასებმა იწყეს მობრუნება კოლმეურნეობებისაკენ. ეს იყო დიდი გარდატეხა საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიაში. ეს იყო კოლმეურნეობათა ზრდის ისეთი უმაგალითო ტემპები, როგორსაც ჯერ კიდევ არ იცნობდა ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიაც კი. 1928 წელს კოლმეურნეობათა სათესი ფართობი შეადგენდა 1.390 ათას ჰექტარს, 1929 წელს—4.262 ათას ჰექტარს, ხოლო 1930 წელს კოლმეურნეობებს უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა დაეგეგმათ 15 მილიონი ჰექტარის მოხვნა.

„რა არის **ახალი** ახლანდელ საკოლმეურნეო მოძრაობაში?“ — აყენებდა კითხვას ამხანაგი სტალინი თავის სტატიაში „დიადი გარდატეხის წელი“ და უპასუხებდა: „ახლანდელ საკოლმეურნეო მოძრაობაში ახალი და გადამწყვეტი ის არის, რომ კოლმეურნეობებში ბლეხები შედიან არა ცალკე ჯგუფებით, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ მთელი სოფლებით, თემებით, რაიონებით და ოლქებითაც კი. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ **საშუალო გლეხი კოლმეურნეობებისაკენ დაიძრა.** ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ძირფესვიანი გარდატეხის საფუძველი, რომელიც განვლილ წელიწადში საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს“.

მშრომელი გლეხობა მტკიცედ დაადგა დიდი სტალინის მიერ ნაჩვენებ გზას, კოლექტიური მეურნეობის გზას.

1929 წლის დამლევს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზრდასთან დაკავშირებით, ბოლშევიკური პარტია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გადავიდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

დიდი სტალინი სოფლად მომხდარი ამ უდიდესი რევოლუციური გარდატეხის გამო წერდა: „ეს იყო უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისაკენ, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო.

ამ რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მოხდენილი იყო **ზემოდან,** სახელმწიფო ხელისუფლების ინიციატივით, პირდაპირი მხარდაჭერით **ქვემოდან** გლეხთა მილიონნიანი მასების მხრით, რომელნიც იბრძოდნენ კულაკური კაბალის წინააღმდეგ, თავისუფალი საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის“.

ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. პარტიამ გაანადგურა ტროცკისტ-ზინოვიეველი და ბუხარინელ-რიკოველი გამცემლები, რომელნიც ილაშქრებდნენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ.

სტატიაში „დიადი გარდატეხის წელი“ დიდი სტალინი წერდა: „განა ცხადი არ არის, რომ ჩვენს ახალგაზრდა მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებას (კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი) დიდი მომავალი აქვს, რომ იგი გამოიჩენს ზრდის სასწაულებს?“.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ შესაძლებლობა მოგვცა ყოველწლიურად გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო **კულტურების** მოსავლიანობა. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საფუძველზე წარმატებით გადაიჭრა მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების პრობლემა. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი 1949 წელს მეტია, ვიდრე 1948 წელს იყო, და აღემატება ომამდელი 1940 წლის მოსავალს. მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1949 წლის მესამე კვარტალში 21 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს კოლმეურნეობებში, ვიდრე 1948 წლის იმავე პერიოდში.

საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა შესანიშნავად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დღეებში. ომის დროს ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით ამარაგებდნენ სურსათით საბჭოთა არმიას და ჩვენს ქვეყანას. „რასაკვირველია, საკოლმეურნეო წყობილება რომ არა ყოფილიყო, კოლმეურნე მამაკაცთა და კოლმეურნე ქალთა თავდადებული შრომა რომ არა ყოფილიყო, ჩვენ ამ უძნელეს ამოცანას ვერ გადავწყვეტდით“ (ი. სტალინი).

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლესი კანონის განხორციელების საფუძველზე კოლმეურნე გლეხობა ენერგიულად იბრძვის კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. ყოველწლიურად მატულობს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემძლებლობა, მათი სიმდიდრე, წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის დიადი გეგმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ენერგიული ბრძოლა გაიჩაღეს მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მიჩურინიული აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გამოყენებამ სოფლის მეურნეობის მშრომელებს ხელთ მისცა მძლავრი იარაღი მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. იზრდება სოფლად სოციალისტური შრომის გმირთა, ორდენოსანთა და მედალოსანთა რიგები.

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ, საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო მშენებლობის მაგალითზე სწავლობენ პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთი უძნელესი საკითხის — სოფლის მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მშრომელები ახალი წარმატებებით ეგებებიან 7 ნოემბერს

საოქტომბრო საჩუქრები სამშობლოს

ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანები

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელიც უმთავრესად მეღვინეობა-მევენახეობაში საჭირო მანქანებსა და დანადგარებს ამზადებს, საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავისი მონაწილეობა აღნიშნა ჩაის მრეწველობისათვის საჭირო ახალი მანქანის — როლერი წნეხის (ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანა) ათვისებითა და მისი სერიული გამოშვების დაწყებით.

ამ საწარმოო წარმატების მოპოვებაში თავი ისახელეს ქარხნის ლითონსამსხმელო საამქროს უფროსმა ინჟინერმა ს. მაჩაიძემ, ამწყობი საამქროს უფროსმა ინჟინერმა შ. თევზაძემ, სტახანოველმა ნ. წიქორიძემ, მღარავმა ლ. გოქსაძემ და სხვებმა.

ხელოვნური აბრეშუმის ახალი ქსოვილები

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში უკვე კარგა ხანია აითვისეს ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილთა გამოშვება და დაჩითვა. ფაბრიკის სპეციალისტთა ჯგუფი ამჟამად მუშაობს ხელოვნური აბრეშუმისაგან მაღალხარისხოვანი ქსოვილების მიღების ტექნოლოგიის დამუშავებაზე. უკვე მიღებულია კრეპდეშინის, კრეპ-სატინისა და სხვა მაღალხარისხოვან ქსოვილთა პირველი ნიმუშები.

2.980 მეტრი დაზოგილი ქსოვილი

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროს კოლექტივმა, რომელსაც გ. ხუბულავა ხელმძღვანელობს, დიდი წარმატებით გაანაღდა საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის დროს ნაკისრი ვალდებულებანი. მარტო უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში საამქროს კოლექტივმა სატანსაცმელე ქსოვილთა უნარჩენო გადაჭრის მასობრივად დანერგვის შედეგად დაზოგა 2.875 მეტრი ბამბეულისა და 105 მეტრი შალის ქსოვილი.

მკერავებმა ჟ. კერესელიძემ, ნ. საფრონოვამ და თ. კიკნაძემ ვალდებულებანი 300-400 პროცენტით გაანაღდეს.

492.000 მანეთის ზეგეგმითი დაგროვება

ხაშური. (საკ. კორ.). რკინიგზის ხაშურის კვანძის კოლექტივებს შორის საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდად ისახელეს თავი საელმავლო დეპოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. წლიური გეგმის გადამეტებით მათ შეაკეთეს რამდენიმე ელექტრომავალი, გაადიდეს ტექნიკური სისწრაფე. მოზოგეს 1.142.866 კილოვატსაათი ელექტროენერგია და ზეგეგმითი დაგროვების თანხა გაზარდეს 492.000 მანეთამდე.

შეჯიბრების პერიოდში დაწინაურდნენ ახალი ადამიანები. მათ შორის არიან ხარატები ნ. ნოზაძე და ნ. გიუნაშვილი, მეუროვე გ. დევაძე, შემდუღებელი ა. ქურდაძე, ზეინკალი გ. ცხოვრებაშვილი და სხვები.



საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას თბილისის საორთქლმავლო დეპოს გარეცხვითი საამქროს კოლექტივმა იკისრა 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გარეცხვითი შეკეთებიდან გამოეშვა 30 ორთქლმავალი. საამქროს კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულება ვადამდე გაანაღდა. 27 ოქტომბერს საამქროდან გამოვიდა 30-ე ზეგეგმით შეკეთებული ორთქლმავალი. სურათზე: გარეცხვითი საამქროს უფროსი ამხ. შ. ხიზანაშვილი (მარჯვნივ) მორიგ დავალებას აძლევს შეჯიბრებაში გამარჯვებულ სტახანოველებს ამხ. ს. მაისურაძეს, ს. მირიანაშვილს და შ. ჩოტაშვილს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

დიადი დღესასწაულის წინ

ქუთაისის მთელმა რიგმა საწარმოებმა წარმატებით გაანაღდეს საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმები.

სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც პირველმა შეასრულა ქალაქში ხუთწლიანი გეგმა, დამატებით დაამზადა ათობით საშახტო ელმავალი და ტრანსპორტიორი.

მაღალნაყოფიერად იმუშავეს საავტომობილო ქარხნის მძღოლებმაც. ისტორიული თარიღის შესახვედრად მათ მკვეთრად გააძლიერეს მუშაობა და ათი თვის გეგმა თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულეს.

ახლა ქალაქის საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მრავალ ათეულ საწარმოთა უდიდესი ნაწილი მაღალი მაჩვენებლებით ასრულებს დავალებებს და დიდი რაოდენობით ამზადებს მაღალხარისხოვან ქსოვილს, ფეხსაცმელს, შეკერილ ტანსაცმელს, ლიტოპონს, კონსერვებს, საკოხდიტრო ნაწარმსა და ათობით სხვა სახის პროდუქციას. ათასობით სტახანოველი საღღესასწაულო ვახტზე ახალ გამარჯვებას აღწევს.

საღღესასწაულო სამზადისი მარტო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით რადი განისაზღვრება. ქუთაისის მშრომელები დიდ მუშაობას ეწევიან მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობისათვის. ისინი ყოველ დასვენების დღეს მართავენ კვირაობას და თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ქუჩების, მოედნების, სკვერებისა და ბაღების გამშვენიერების საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხადგურის მოედნის რეკონსტრუქცია, რომელიც მშრომელთა აქტიური მონაწილეობით შესრულდა. მშვენდება ქალაქის ცენტრი—სტალინის სახელობის მოედანი. მოედნის მხარეს ქალაქის ცენტრალური ბაღს გაუკეთდა ახალი შესასვლელი. ქართული ორნამენტებით მოჩუქურთმებული შესასვლელის თაღები დადგმულია ლამაზ სვეტებზე.

წელს ქალაქის ათობით ქუჩამ მოასფალტების, მოკირწყვლისა და გამწვანების შედეგად იცვალა სახე. სტალინის, მოლოტოვის, ბერიას, წულუკიძის, წერეთლის, ნინოშვილის, პუშკინისა და მთელი რიგი სხვა ქუჩები კეთილმოწყობილი გახდა. ბევრ მათგანს ორივე მხარეს კილომეტრობით მიჰყვება მწვანე ნარგავები და გაზონები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ავრეთვე ბაღებისა და სკვერების კეთილმოწყობისათვის, რომლებიც ასი ათასამდე მცენარით შეივსო. ახლახან გაშენდა 26 კომისრის სახელობის საქალაქო ბაღი, ახალი სკვერები მოეწყო საავტომობილო და მანქანათმშენებელი ქარხნების ტერიტორიაზე.

ქუთაისის მშრომელებმა ოქტომბრის დიადი დღესასწაულის წინ მიიღეს ტრანსპორტის ერთერთი საუკეთესო სახე — ტროლეიბუსი. მან მშვენება შემატა ქალაქს და დიდად გაუმჯობესა მშრომელთა მომსახურება. ახლა ქალაქში რეგულარულად მუშაობს ტროლეიბუსის 7 ვაგონი, რომელთაც ყოველდღიურად გადაჰყავთ 20 ათასამდე მგზავრი.

ინდუსტრიულ გარდაქმნასთან ერთად ქალაქ ქუთაისს სულ უფრო ეძლევა საბჭოთა ეპოქის თანამედროვე ტიპის კეთილმოწყობილი ქალაქის სახე. ქუთაისელი ბოლშევიკები რაზმავენ მშრომელთ რესპუბლიკის კულტურისა და მრეწველობის მეორე ცენტრის კიდევ უფრო გამშვენიერებისათვის.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოწინავე მევენახეები

ორჯონიკიძე

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი: სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 6.000 ცენტნერის ნაცვლად ჩააბარეს 7.000 ცენტნერი ყურძენი.

სოფელ დეისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა სერგი ფოცხვერაშვილმა 3 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 105 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი 36 ცენტნერს ითვალისწინებდა.

სოფელ ლაშის კოლმეურნეობა „იმედის“ მერგოლურმა პეტრე კიკალიშვილმა 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყო 85 ცენტნერი ყურძნის მოყვანა. აქვე კოლმეურნე ივანე გელაშვილმა ნახევარ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ვაჟა გელაშვილმა კი — 115 ცენტნერი.

საგარეჯო

სოფელ გიორგიწმინდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ტიმოთე ბეგიაშვილმა 3 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე მოიყვანა 80 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36 ცენტნერისა.

საგარეჯოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა გ. კირაკოზაშვილმა 5,2 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 81 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი 40 ცენტნერს ითვალისწინებდა.

ამავე კოლმეურნეობის დათა კირაკოზაშვილის რგოლს 5 ჰექტარზე 360 ცენტნერი ყურძენი აქვს მიღებული. ბრიგადირმა ვანო ლოლაძემ მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძენი მიიღო, მერგოლურმა ალექსი საგინაშვილმა — 110 ცენტნერი, კოლმეურნეებმა ნიკა ლოლაძემ — 90, თედო ფიეიჩიშვილმა — 100 ცენტნერი ყურძენი.

კაჭრეთი

სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მარო აბესაძემ ერთ ჰექტარზე მიიღო 102,2 ცენტნერი ყურძენი, სოლიკო ადუაშვილმა — 109, მარო ბეჟანიშვილმა — 105 ცენტნერი.

სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადირმა ალექსანდრე რამაზაშვილმა 14 ჰექტარ ვენახში თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყო 80 ცენტნერი ყურძნის მიღება, გეგმა კი 39 ცენტნერს ითვალისწინებდა. მერგოლურ ნიკოლოზ კვინიკაძეს მიჩენილი ჰქონდა 7 ჰექტარი ვენახი. მან თვითეულ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მიიღო. სიმონ ლაზაშვილმა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 95 ცენტნერი ყურძენი. კოლმეურნეებმა შაქრო ზირაქიშვილმა ჰექტარზე 85 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ნიკოლოზ ბარბაქაძემ — 90, გიგა ჩანდაშვილმა — 105,15 ცენტნერი.

ყულარი

საბჭოთა მეურნეობაში ყოველ ჰექტარზე გეგმით 58 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 125,9 — 126,5 ცენტნერი აქვთ მიღებული. ყურძნის მაღალი მოსავალი მოიყვანეს ოლღა იაკუნოვამ, ხანუმა გუსეინოვამ, ეკატერინე კოშევამ, ქერიმ იუსუპოვმა.

ზეიმი, სიხარული

ტრაქტორების გუგუნი ველიდან ველზე გადააქვს ნიავს, მშობლიური მიწა მარცვალს იღებს, რომ 1950 წლისათვის ველებზე უფრო მძიმე თავთავებმა იშრიალონ. გზებზე ავტომანქანების განუწყვეტელი მოძრაობაა. ისინი საკოლმეურნეო მინდვრებიდან ეზიდებიან შაქრის ჭარხლის უკანასკნელ ტონებს. ქვევრები სავსეა მაჭრით და მარანთან ღიმილით დადის გლეხკაცი...

წინასადღესასწაულო დღეები შრომითი აღმავლობით აღინიშნა სამხრეთ ოსეთში.

დიად დღესასწაულს ახალი გამარჯვებებით აღნიშნავენ საბჭოთა პატრიოტები. გულგახარებულია ქსუისის მტს-ის მეძინდვრეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი არჩილ ბერუაშვილი. მან პირნათლად შეასრულა საოქტომბრო ვალდებულება — სატრაქტორო სამუშაოთა მიმდინარე წლის დავალება ჯერ კიდევ 20 ოქტომბრისათვის მთლიანად გაანაღდა, ამასთან დიდი რაოდენობით დაზოგა საწვავი. ახალგაზრდა ტრაქტორისტმა ილია მაისურაძემ 420 ჰექტარი მიწა მოხნა, წლიური დავალება ვადამდე ორთვენახევრით ადრე შეასრულა, საწვავიც დაზოგა. მოხნული ჰექტარების. მხოლოდ რაოდენობით როდი იყო გატაცებული ახალგაზრდა ტრაქტორისტი. მას ღრმად სწამს, რომ იგიც პასუხისმგებელია დასახელებული ოთხას ოცი ჰექტარიდან მიღებული მოსავლისათვის. ამიტომ მუშაობდა ასე გულმოდგინედ, მაღალხარისხოვნად.

გამომუშავებულ შრომადღეებზე კოლმეურნეები ავანსად იღებენ მარცვლეულს. იქ, სადაც მთელი წლის განმავლობაში თავდადებით შრომობდნენ, სასიხარულო შედეგებს მიაღწიეს. სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობაში თვითეულ შრომადღეზე 5 კილოგრამ სიმინდს ანაწილებენ. კოლმეურნეობის საამაყო ადამიანებმა ვ. ბაციკაძემ, ზ. ქრისტესიაშვილმა და სხვებმა გამომუშავებულ შრომადღეებზე ტონანახევარი-ორი ტონა სიმინდი მიიღეს ავანსად. ზნაურის რაიონის სოფელ სამწყაროს კოლმეურნეებიც თვითეულ შრომადღეზე ავანსად 4 კილოგრამამდე სიმინდს იღებენ. გვალვაზე მოპოვებულ გამარჯვებას ზეიმობენ სტალინირის რაიონის სოფელ ზემო ჭარების კოლმეურნეობის სახელოვანი მერგოლურები ნიკოლოზ და გიგო ლაფაჩები. მათი რგოლებისათვის მიჩენილ ნაკვეთებზე მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაა შესრულებული სიმინდის მოსავლიანობის გეგმები.

სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ასობით ცენტნერ შაქრის ჭარხალს აბარებენ ოლქის მოწინავე კოლმეურნეობები. სტალინირის რაიონის სოფელ ქურთის კოლმეურნეობამ 8 ჰექტარიდან სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 420 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ჩააბარა.

ღამით ილიჩის ნათურები ციმციმებენ ქალაქ სტალინირის რკინიგზის სადგურის აღმოსავლეთით. აქ შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტია. ღამითაც არ ცხრება მუშაობა. აგარის შაქრის ქარხნისაკენ ვაგონები მიაქროლებენ ლიახვის ხეობის ბარაქიან მიწაში გაზრდილ ჭარხალს. ოსეთის მეჭარხლეებს სიამაყის გრძნობით აღავსებს ის, რომ მათი მარჯვენით მოყვანილი ჭარხლისაგან დამზადებული შაქარიც დაამშვენებს ჩვენი მშობლიური ქვეყნის მშრომელთა სუფრას.

დიად დღესასწაულს დარიალის კარს იქით, ჩრდილოეთ კავკასიაში ხვდებიან სამხრეთ ოსეთის მეცხვარეები. მათ შორის არის ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობის ორმოცდახუთი რჩეული ვაჟკაცი, რომელთაც წინამძღოლობს გამოცდილი მეცხვარე ელიოზ კოლხიტოვი. ცხრათასიან ფარას უვლიან ისინი. უკანამხარელი მეცხვარეები არ დაივიწყებენ თავიანთ სადღესასწაულო ფიცს— სამაგალითოდ გამოაზამთრონ ცხვარი, გაამრავლონ ფარები.

ლენინგორის რაიონის ჩიგოინის, მიდელაანის, ლომისის, უკანამხარის და მრავალმა სხვა კოლმეურნეობებმა კარგახანია გაანაღდეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური დავალებანი. ახლა ეს კოლმეურნეობები სახელმწიფოს მომავალი წლის ანგარიშში აბარებენ ყველს, ერბოს, კვერცხს და სხვა პროდუქტებს.

რადიო ახალ ამბებს აუწყებს ახალდაბის, მეიანტყვივის, ვაშლოვნის კოლმეურნეობების წევრებს. პირობა შეასრულეს ქურთის (ლენინგორის რაიონი) ელექტროსადგურის მშენებლებმა. კორინთის სასოფლო საბჭოს სოფლების მკვიდრთა ჭერქვეშ სადღესასწაულოდ ციმციმებენ ილიჩის ნათურები.

ზამთრის პირია. უფრო გარკვევით მოსჩანან მშობლიური მთები, გადახნული მინდვრები, განახლებული სოფლები. ოქტომბერმა მოიტანა სიხარული, რომლის ამოკითხვა შეიძლება თვითეული პატიოსანი ადამიანის ღიმილში. ოქტომბრის მზე ანათებს სამხრეთ ოსეთსაც. ამიტომ არის მისი ზეიმი ასე აღმაფრთოვანებელი, შთამაგონებელი.

ზეიმობს სამხრეთ ოსეთი, ჩვენი ვრცელი დიადი სამშობლოს ერთ-ერთი ბედნიერი კუთხე.

ვ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გარდამავალი დროშა ინგირის ჩაის ფაბრიკას

ზუგდიდი. (საკ. კორ.). შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისათვის მზადების პერიოდში ინგირის ჩაის ფაბრიკის ახალგაზრდა კოლექტივმა, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის გმირი შ. ჩილაჩავა. გარდა მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღებისა, ფაბრიკის კოლექტივმა სამშობლოს მისცა 1.007 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ახლახან ფაბრიკას მიეკუთვნა საქართველოს ჩაის ტრესტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია.

კოხორა იძლევა ციტრუსოვანთა უხვ ნაყოფს

სოციალისტური შრომის გმირის ბაღში ვართ. ვაკვირდებით მანდარინის თვითეულ ძირს. ათას ოთხას ორმოცდახუთი სრულწლოვანი ძვირფასი ხე ჩამწკრივებულა ფერდობზე. მცენარეებს ტოტები ჩამოზნექია, მუქმწვანე ფოთლებიდან ანათებენ ოქროსფერი მანდარინები.

თვითონ გმირი იქვე დგას, ხელში სამყნობი დანა უჭირავს, მას ხან გაშლის, ხან დაკეცავს...

რამდენად მარდია ეს ჭაბუკი ბაღის მოვლისა და მისი ძვირფასი ნაყოფის მოკრეფის დროს, იმდენად დინჯად იძლევა პასუხს შეკითხვებზე. თავის წარმატებებზე არაფერს ამბობს... ან რა საჭიროა სიტყვები. თვითონ მანდარინის ხეები გვესაუბრებიან თავიანთი მოამაგის სახელით — თვითეულ მათგანს ორასი მანდარინი მაინც ასხია.

შარშან ამ ბაღში თვითეულმა ხემ 175 ცალი მანდარინი მოისხა, მთელმა ნაკვეთმა კი მეოთხედ მილიონზე მეტი ნაყოფი მოგვცა. ასეთმა მოსავალმა ბაღის მომვლელის სახელი დიდებით შემოსა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ახალგაზრდა მებაღეს ხუტა ქვანიას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

კარგახანია ხუტა ქვანია უვლის მანდარინის ამ ბაღს. მანამდე ამ სილამაზესა და სიუხვეს ჰქმნიდა კოხორას საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი მებაღე ვადალი ქვანია—გმირის მამა.

როცა კოხორა ეკალ-ბარდების, ხავსისა და გვიმრისაგან გაიწმინდა და მის ნოყიერ მიწაზე საფუძველი ჩაეყარა ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას, ვადალი ქვანია პირველი იყო მათ შორის, ვინც აქ ჩაჰყარა ციტრუსოვანთა თესლი, ვინც დაამყნო მანდარინი, ვინც პირველმა მოკრიფა ახალგაზრდა ხეების ნაყოფი.

ჯოხორას საბჭოთა მეურნეობაში მუდამ მოწინავე მებაღე იყო ვადალი ქვანია.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. წამშობლო ვაჟკაცებს მოუხმობდა ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

— აჰა, შვილო, ჩემი სამყნობი დანა! კიდევ ორასი ძირი დამრჩა დასამყნობი, შენ მოუარე... ეცადე, მცენარეები არ დაიჩაგროს... დირექტორმა დამავალა მანდარინის ნაკვეთი ჩაგაბარო. აბა შენ იცი, როგორ ასახელებ მამას!.. მტერმა შემოგვიტია, შვილო, და პასუხი უნდა გავცეთ... ეცადე თვითეული ხე ძმასავით შეიყვარო. ისინიც ისე გამიზრდია, როგორც შენ! მოუარე, აუცილებლად გასახელებენ! —ასე ჩაბარა ომში მიმავალმა მამამ მანდარინის ბაღი თავის პირმშოს ჩვიდმეტი წლის ხუტა ქვანიას.

მამის წერილებში ახალგაზრდა მებაღე კითხულობდა გამოცდილი მეურნის რჩევა-დარიგებას, მოწოდებას სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომისაკენ.

1944 წლის მაისში ხუტა ქვანიამ მიიღო მამის უკანასკნელი წერილი, ხოლო ერთი თვის შემდეგ სამწუხარო ცნობა ვადალი ქვანიას გმირულად დაღუპვის შესახებ.

იმ დღეს თვალცრემლიანმა შვილმა თითქმის ყველა მანდარინის ხეს შემოუარა. უკანასკნელად იქ შეჩერდა, სადაც მამამ წასვლის წინ დალოცა ახალგაზრდა მებაღე და თავისი სამყნობი დანა გადასცა. აქ მან ფიცი დადო გმირულად დაღუპული მამის წინაშე, რომ ღირსეულად განაგრძობდა შობლის მიერ დაწყებულ საქმეს...

ახლა ჩვენს წინ დგას სოციალისტური შრომის გმირი, მამისეული სამყნობი დანა ხელში უჭირავს... მან ღირსეულად შეასრულა ფიცი. მანდარინის არც ერთი ხე არ გახმობია, ნაჩუქარი დანით რამდენიმე ასეული ძირი ახალი ხე დაამყნო, საუცხოოდ გაახარა. საზრდო არ მოკლებიათ მცენარეებს. ციტრუსოვანთა მავნებლები მის ბაღში ფეხს ვერ იდგამენ. ქარს სად შეუძლია შემოიპაროს ამ ბაღში, როცა მას მარადმწვანე ხეთა ლაშქარი წრედ შემოხვევია.

როცა პარტიის გალის რაიკომის მდივანმა სოციალისტური შრომის გმირმა ა. ჭეჟიამ ხუტა ქვანიას საბჭოთა მთავრობის უმაღლესი ჯილდო მიულოცა, ახალგაზრდა მებაღის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინ მეურნეობის მუშაკებს საზეიმო შეხვედრა ჰქონდათ გმირებთან. ხუტა ქვანიას თავის მიღწევებზე სიტყვა არ უთქვამს, მხოლოდ ვალდებულება იკისრა უმაღლესი ჯილდოს პასუხად უფრო გაედიდებინა მანდარინის მოსავალი.

ზეიმის შემდეგ ხ. ქვანიამ კვლავ ბაღს მიაშურა. ყოველ ხეს ანთებული თვალებით მიახარა დიდი გამარჯვება.

ამაყად იდგა მამის ნაკვალევთან ხუტა ქვანია — გულმართალი, მკერდგაშლილი, გამარჯვებული. ღიმილით შეჰყურებდა თავის ძმობილებს, მამის მიერ დამყნობილ მანდარინებს, რომელთა უხვმა ნაყოფმა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“ მოაპოვებინეს.

• • •

ჯოხორას საბჭოთა მეურნეობა 720 ჰექტარზეა გადაჭიმული. ამ ვრცელ ტერიტორიაზე გაშენებულია 81 ათასი ძირი მანდარინი, 34 ათასი ძირი ფორთოხალი, 47 ათასი ძირი ლიმონი, ამას გარდა, დიდძალი გრეიპფრუტი, ტუნგო.

ყოველწლიურად იზრდება მოსავლიანობა კოხორაში. 1946 წელს ამ საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 10 მილიონზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 1947 წელს მოკრიფა 14 მილიონი, 1948 წელს — 20 მილიონამდე, ხოლო წელს 30 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს მოგვცემს.

ჯოხორას ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სიახლოვე ზღვასთან, ოდნავ დაქანებული ფერდობები, რომლებიც ჩრდილოეთის ცივი ქარისაგან დაცულია, ზომიერი ჰავა იძლევიან ყველა პირობას, რომ მანდარინმა, ლიმონმა, ფორთოხალმა, გრეიპფრუტმა და სხვა ძვირფასმა სუბტროპიკულმა მცენარეებმა უხვი ნაყოფი მოგვცენ.

მაგრამ, ეს პირობები ადამიანმა გეგმაშეწონილად თუ ვერ გამოიყენა, ცხადია, ვერც კარგ მოსავალს მიიღებს.

ჯოხორას საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ა. ბაბუნია) იციან, როგორ გამოიყენონ ბუნებრივი პირობები. აკვირდებით მათს მუშაობას და გრძნობთ იმ სიახლეს, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

მარტო ის ღონისძიება, რომელიც სოციალისტური შრომის გმირმა ხ. ქვანიამ გაატარა ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის მისაღებად, წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა შემოქმედებითი მუშაობის საუკეთესო ნიმუშს. ეს უბრალო მუშა-მებაღე, რომელსაც მხოლოდ შვიდწლიანი სკოლა აქვს დამთავრებული, თავისი პრაქტიკული მუშაობის გამ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი. (საკდესი). 1 ნოემბერს პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა საერთო დისკუსიას საბერძნეთის საკითხზე.

დილის სხდომაზე დასაბუთებული სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის წარმომადგენელმა კაცსუბამ. აღნიშნა რა, რომ უკვე ოთხი წლის განმავლობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ცდილობს გადაჭრას საბერძნეთის საკითხი, შეაჩეროს მონარქისტულ-ფაშისტური რეჟიმის პარპაში საბერძნეთში, პოლონეთის წარმომადგენელმა თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და შემათანხმებელი კომიტეტის მთელ ამ ღონისძიებებს წარმატება არ მოჰყოლია შეერთებული შტატების შეურიგებელი პოზიციის მიზეზით, რომელთა აგრესიული გეგმებით საბერძნეთისათვის, თურქეთთან ერთად, განკუთვნილია ევროპაში სამხედრო პლაცდარმის როლი, საიდანაც ამერიკის შეერთებული შტატები ამბრებენ დაიწყონ აგრესიული სამხედრო მოქმედება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

სწორედ ამ მიზნით, — თქვა კაც-სუბამ, — გამოცხადებულ იქნა ტრუმენის დოქტრინა, რამაც დასაბამი მისცა საბერძნეთში ამერიკის სამხედრო და პოლიტიკურ ინტერვენციას. ტრუმენის დოქტრინა, როგორც მისი გამოცხადებისთანავე ნათელი გახდა, შეიქმნა საბერძნეთის დამონებისა და საბერძნეთის ჩრდილოეთ მეზობელთა წინააღმდეგ სამხედრო ბაზად მისი გადაქცევის იარაღი. ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ, შეიქმნა ეგრეთწოდებული ბალკანეთის კომისია, რათა ძირი გამოეთხარათ მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბალკანეთში.

კაც-სუბამ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედრო ოკუპაციის შემდეგ მომხდარმა ეკონომიურმა ინტერვენციამ საბერძნეთი შეერთებული შტატების სრულ კონტროლქვეშ მოაქცია. ამერიკის კორპორაციები ამჟამად კონტროლს უწევენ საბერძნეთის მრეწველობასა და მთელ მეურნეობას. საბერძნეთის რკინიგზები და გზატკეცილები ისეთი ამერიკული კომპანიების ხელშია, როგორიცაა „ატკინსონ, დრეიკ ჯონტ ვენჩური“ და სხვ. კორინთის არხს და ნავსადგურებს კონტროლს უწევს ამერიკული კომპანია „სტარსგროვ პარტნერშიპი“. ამერიკული ფირმა „სპერი ჟიროსკოპ კომპანი“ თავის ქარხნებს აშენებს საბერძნეთში. კაც-სუხამ აგრეთვე მოიყვანა მთელი რიგი სხვა მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკულმა კორპორაციებმა და ტრესტებმა ხელში ჩაიგდეს საბერძნეთის ელექტროენერგეტიკური, საავიაციო, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგები და სატელეფონო ქსელი. უკანასკნელ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების კერძო კაპიტალის დაბანდება საბერძნეთში.

ამერიკის სამხედრო და პოლიტიკური წარმომადგენლები, — თქვა კაც-სუხამ, — ყველანაირ ისეთ საკითხებს, როგორიცაა საბერძნეთის მთავრობის ჩამოყალიბება. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისია ნიშნავს საბერძნეთის მინისტრებს, სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობენ ამერიკის არმიის ოფიცრები. ისინვე ნიშნავენ საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტური არმიის თანამდებობის პირებსა და სხვ.

პოლონეთის წარმომადგენელმა კონკრეტული მაგალითებით დასაურათა, რომ ბერძენმა მონარქისტ-ფაშისტებმა იჯარით მისცეს ბერძენი ხალხი ამერიკულ მონოპოლიებს, რომლებიც ძარცვავენ და ექსპლოატაციას უწევენ ბერძენ ხალხს. მან მოიყვანა ბრება თვით ამერიკელი მოღვაწეებისა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრის იკესისა, რომლებიც მოწმობენ, რომ ეგრეთწოდებული ამერიკის „დახმარება“ საბერძნეთისადმი განკუთვნილია სახალხო მოძრაობის ჩასახშობად და იმისათვის, რომ ხელისუფლების სათავეში იყოლიონ მონარქისტ-ფაშისტები. ეს ერთი მუჯა მონარქისტ-ფაშისტები, რომლებიც ამერიკის მონოპოლიებს მიეყიდნენ, თავის ხალხს ყიდიან და ხელოვნურად აღვივებენ სამოქალაქო ომს საბერძნეთში.

პოლონეთის წარმომადგენელმა ეგრეთ წოდებული ბალკანეთის კომისიის მოხსენების ანალიზით ცხადყო, რომ ამ კომისიის საქმიანობას წარმართავდნენ შეერთებული შტატები, რომლებიც ცდილობენ გვერდი აუარონ იმ ფაქტს, რომ საბერძნეთის საკითხი შექმნილია ამერიკისა და ინგლისის ინტერვენციით საბერძნეთში. სწორედ ამიტომ „მოწმეთა ჩვენებანი“ და ეგრეთ წოდებულ მეთვალყურეთა ჯგუფების მოხსენებანი, რომლებზეც აგებული ბალკანეთის კომისიის მოხსენება, სპეციალურად იყო შერჩეული იმგვარად, რომ საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა შეერთებული შტატების ნაცვლად აღმანეთისა და ბულგარეთისათვის დაეკისრებინათ.

პოლონეთის წარმომადგენლის შემდეგ გამოსულმა სამხრეთ აფრიკის კავშირისა და პაკისტანის დელეგატებმა აზრი გამოთქვეს ოთხი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიანური ჩინეთისა და ავსტრალიის რეზოლუციის სასარგებლოდ.

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე ეგრეთ წოდებულ საბერძნეთის საკითხზე კომიტეტში წარმოებული დისკუსიის შედეგების შესახებ გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი.

ა. ი. ვიშინსკიმ დაწვრილებით გაარჩია კრიტიკულად მთელი რიგი დელეგაციების გამოსვლები და უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის კოენის და ინგლისის წარმომადგენლის მაკნეილის განცხადებანი, რომლებიც მათ პოლიტიკური კომიტეტის 31 ოქტომბრის სხდომაზე გააკეთეს და გაილაშქრეს საბერძნეთის საკითხის მოწესრიგების შესახებ სსრ კავშირის წინადადებათა წინააღმდეგ, ცდილობდნენ რა გაეგბათილებინათ საბჭოთა დელეგაციის მიერ საბჭოთა წინადადებების დასაცავად მოყვანილი მოსაზრებანი.

უპასუხა რა შემდეგ ლიბანის დელეგატ მალიკს, რომელმაც განაცხადა, რომ საბერძნეთის საკითხი „ორი სამყაროს ბრძოლის საერთო საკითხის“ ნაწილიაო, ა. ი. ვიშინსკიმ თქვა, რომ მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტები საბერძნეთის საკითხს იყენებენ ამისათვის, რომ საბერძნეთოთ გავიდნენ იმ გზებზე, რომლებზეც ისინი ვარაუდობენ თავისი მსოფლიო ბატონობის განხორციელებას.

აი იმ ამბების საფუძველი, — თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, — რომელნაც ჩვენი უთანხმოების მიზეზს წარმოადგენენ საბერძნეთის საკითხზეც.

ა. ი. ვიშინსკის შემდეგ გამოსული საფრანგეთისა და ეკვადორის დელეგატები დაკმაყოფილდნენ ბალკანეთის კომისიის მოხსენების საერთო სტანდარტული შექებით და განცხადებით ოთხთა რეზოლუციისათვის მხარდაჭერის შესახებ. ეკვადორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „არაზუსტი და ბუნდოვანი ადგილები“, რომლებსაც ბალკანეთის კომისიის მოხსენება შეიცავს, „ვერ შეცვლიან“ მისი დელეგაციის აზრს ამ მოხსენების შესახებ. საფრანგეთის წარმომადგენელმა სინანული გამოთქვა შემათანხმებელი კომიტეტის მუშაობის ჩაშლის გამო და განაცხადა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უარი არ უნდა თქვას შემდგომ ღონისძიებებზე საბერძნეთის საკითხის მოსაწესრიგებლადო.

ამით დამთავრდა საერთო დისკუსია საბერძნეთის საკითხზე.

სხდომის დახურვის წინ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ სიტყვა აიღო და კომიტეტის თავმჯდომარეს სთხოვა ინფორმაცია მიეწოდებინა კომიტეტისთვის იმის შესახებ, თუ რა მოიმოქმედა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ პოლიტიკური კომიტეტის 27 ოქტომბრის რეზოლუციის შესაბამისად იმ საკითხის შესახებ, რომელიც დაკავშირებული საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტური სასამართლოს მიერ დემოკრატიელთა მოძრაობის 9 ბერძენი ლიდერისათვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენებთან და ამ განაჩენთა სასრულეში მოყვანის შეჩერებასთან.

კომიტეტის თავმჯდომარემ უპასუხა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის შეკითხვას და განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს მხოლოდ უფრო გვიან ექნება შესაძლებლობა კომიტეტს ინფორმაცია მიაწოდოს ამ საკითხზე.

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. (საკდესი). 2 ნოემბრის დილის სხდომაზე პოლიტიკურმა კომიტეტმა მოუსმინა ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს პრიფტის, რომელმაც ჩამოაყალიბა ალბანეთის მთავრობის პოზიცია ეგრეთ წოდებული საბერძნეთის საკითხის გამო.

სიტყვის დასაწყისში ალბანეთის წარმომადგენელმა ალბანეთის მთავრობის სახელით პროტესტი განაცხადა ეგრეთ წოდებული ინგლისის რეზოლუციის გამო, რომელიც ინგლის-ამერიკის ბლოკმა მიიღო პოლიტიკური კომიტეტის 31 ოქტომბრის სხდომაზე. ალბანეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეზოლუციაში მოყვანილი მტკიცება, თითქოს ბალკანეთის კომისიის „მეთვალყურეებს“ სროლა აუტეხეს ალბანეთის ტერიტორიიდან, სინამდვილეს არ შეესაბამება და იგი შეთითხნა ინგლისის წარმომადგენელმა მაკნეილმა, რათა გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ კომიტეტზე და მისი ყურადღება აეშორებინა განსახილველი საკითხისათვის.

შემდეგ ალბანეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ალბანეთის დელეგაცია გენერალურ ასამბლეაზე ჩამოვიდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო შემათანხმებელი კომიტეტის მუშაობაში ერთად-ერთი განზრახვით — ხელი შეუწყოს საბერძნეთის საკითხის გადაწყვეტას გეოგრაფიული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად, ბერძენი ხალხისა და ბალკანეთში მშვიდობის მიღწევის ინტერესების შესაბამისად. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, თქვა ალბანეთის წარმომადგენელმა, შემათანხმებელმა კომიტეტმა არ შეიმუშავა შეთანხმება საბერძნეთის საკითხის მოსაგვარებლად. კომიტეტის მთელი მუშაობის დროს მასზე გავლენას ახდენდნენ ვაშინგტონის, ლონდონისა და ათენის მთავრობათა წარმომადგენლები, რომელთაც საბერძნეთის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა, საბერძნეთის დემოკრატიულად გარდაქმნა და ბალკანეთში მშვიდობის დამყარება კი არა სურთ, არამედ, პირიქით, ცდილობენ გამაწვავონ საბერძნეთისა და მისი ჩრდილოეთელი მეზობლების ურთიერთობა ახალი ომის პროვოკაციის მიზნით. ამ წარმომადგენელთა ზეგავლენით შემათანხმებელმა კომიტეტმა არ მიიღო სსრ კავშირის, ალბანეთისა და ბულგარეთის წინადადებანი საბერძნეთის საკითხის მოსაწესრიგებლად და ერთი მხრივ საბერძნეთსა და მეორე მხრივ ალბანეთსა და ბულგარეთს შორის ნორმალური ურთიერთობის მოსაგვარებლად.

პრიფტემ განაცხადა, რომ ალბანეთის მთავრობამ, რომელიც გულწრფელად ცდილობს საბერძნეთის პრობლემის მოგვარებას, მიიღო შემათანხმებელი კომიტეტის შეთანხმების პროექტის „მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები და აღნიშნა, რომ შემათანხმებელმა კომიტეტმა, რომელიც შეერთებული შტატების დელეგაციის ყარნახით მოქმედებს, უარყო ყველა წინადადება, რომლებიც ალბანეთის დელეგაციამ წამოაყენა“ ან მხარს უჭერდა.

რა შუაშია აქ ალბანეთი, თქვა ალბანეთის წარმომადგენელმა, ალბანეთი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციები და მათ მიერ ზურგგამაგრებული ათენის მონარქისტულ-ფაშისტური მთავრობის დელეგაციი, რომლებიც გეგმავენ თავისუფლებისმოყვარე პატარა ალბანეთის დაპყრობას, რომლის სახალხო-დემოკრატიული წესწყობილება არ ეკაშნიკათ ინგლისელ და ამერიკელ ინტერვენტებს, რომლებიც საბერძნეთში ისე იქცევიან, როგორც საკუთარ კოლონიაში.

ალბანეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ბატონობის მოპოვების გეგმებით გატაცებული ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების შეუპოვარი მისწრაფება — მოსპონ დემოკრატიული ალბანეთი ბერძენი მონარქისტ-ფაშისტი ბანდიტების დახმარებით, იმ ფაქტით აიხსნება, — რომ ალბანეთს თავისი მდიდარი ბუნებრივი რესურსებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა უკავია ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვებში. პრიფტემ აღნიშნა, რომ სწორედ ალბანეთთან ომის პროვოცირების მიზნით ბერძენი მონარქისტ-ფაშისტები, რომელთაც შეერთებული შტატები და ინგლისი უმაგრებენ ზურგს, დღითი დღე ჰაერლერისა და მუსოლინის მაგალითის მიხედვით აწყობენ პროვოკაციულ თავდასხმებს ალბანეთის ტერიტორიაზე და ირღვევენ ალბანეთის სუვერენიტეტს. მაგალითად 1944 წლის ნოემბრიდან 1949 წლის სექტემბრამდე საბერძნეთის მონარქისტ-ფაშისტთა ჯარებმა მოაწყეს 1.565 პროვოკაციული თავდასხმა ალბანეთის ტერიტორიაზე, აქედან 826 პროვოკაცია მოაწყეს სახმელეთო ჯარებმა, 675 — საჰაერო და 64 — საზღვაო ძალებმა.

ალბანეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ალბანეთის წინააღმდეგ მონარქისტ-ფაშისტთა აგრესიული მოქმედება განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საბერძნეთში ჩავიდა ეგრეთ წოდებული ბალკანეთის კომისია. მაგალითად, 1948 წლის ნოემბრიდან 1949 წლის 27 სექტემბრამდე ბერძენმა მონარქისტ-ფაშისტებმა 492 შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყეს ალბანეთის საზღვარზე. ამ პერიოდში საბერძნეთის არტილერიამ ალბანეთის ტერიტორიას 7.572 ყუმბარა ესროლა და ალბანეთის საზღვარი 471-ჯერ დაარღვიეს საბერძნეთის თვითმფრინავებმა, რომლებიც ბომბს უშენდნენ სასაზღვრო ჯარებსა და მშვიდობიან მოსახლეობას. ამ ხნის განმავლობაში მოკლულ და დაჭრილ იქნა 18 ალბანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რამდენიმე სამოქალაქო პირი, დაინგრა მრავალი საცხოვრებელი შენობა. ალბანეთის წარმომადგენელმა კონკრეტული ფაქტებით ცხადყო, რომ ალბანეთზე ბერძენ მონარქისტ-ფაშისტთა პროვოკაციული თავდასხმები ამ უკანასკნელ ხანს ძლიერდება და იღებს დიდ სამხედრო ოპერაციათა ხასიათს, ამასთან ამ ოპერაციებს სარდლობენ ამერიკელი გენერლები და ოფიცრები ამერიკელ გენერალ ვან ფლიტის მთავარსარდლობით. მაგალითად, 2 აგვისტოს ვან ფლიტის სარდლობით ალბანეთის წინააღმდეგ გამოყვანილ იქნა საბერძნეთის მონარქისტ-ფაშისტთა 7 დივიზია. მათ ეხმარებოდა 178 თვითმფრინავი, რომლებიც 13 კილომეტრზე შევიდნენ ალბანეთის ტერიტორიის სიღრმეში. საბერძნეთის არტილერიამ 5.251 ყუმბარა გაისროლა.

ალბანეთის წარმომადგენელმა გააკრიტიკა ეგრეთ წოდებული „მოწმეთა ჩვენება“, რასაც შეიცავს ბალკანეთის კომისიის მოხსენება, და განაცხადა, რომ ალბანეთის მთავრობას მოეპოვება მასალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბალკანეთის კომისია მდგომარეობას კი არ არკვევდა საბერძნეთში და საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარზე, არამედ ჯაშუშურ ცნობებს აგროვებდა ამერიკის შეერთებული შტატების არმიისა და დაზვერვისათვის. დასასრულ ალბანეთის წარმომადგენელმა გაილაშქრა ოთხი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიანური ჩინეთისა და ავსტრალიის — რეზოლუციის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებებს, ამასთან აღნიშნა, რომ მხოლოდ საბჭოთა წინადადებების მიღება შეუწყობს ხელს საბერძნეთის საკითხის ნამდვილ გადაჭრას.

ალბანეთის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ პირსონმა (კანადა) წაიკითხა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის რომულოსაგან მიღებული წერილი. წერილში რომულო იძლევა პასუხს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის შეკითხვაზე, რომელიც შეტანილ იქნა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე იმის შესახებ, თუ რა გააკეთა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტური სასამართლოს მიერ საბერძნეთის დემოკრატიული მოძრაობის ცხრა მოღვაწისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენთა შეჩერებისა და ამ განაჩენთა გაუქმების საკითხის განხილვის განხილვის წინააღმდეგ. განაცხადა, თუ კომიტეტი შეუდგება ამ საკითხის განხილვას, ეს დაარღვევს კომიტეტის დღევანდელი სხდომის პროცედურას და ბულგარეთის წარმომადგენელი საბერძნეთის საკითხზე ვეღარ ილაპარაკებსო. პირსონმა, რომელიც ალბათ ცდილობდა დაეცვა საბერძნეთის მთავრობა, წაიკითხა პოლიტიკური კომიტეტის 29 სექტემბრის სხდომაზე საბერძნეთის წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საბერძნეთის მთავრობამ „გადაწყვიტა სააპელაციო სასამართლოს გადასცეს სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ყველა შემთხვევა“.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა მეორედ აღიო სიტყვა და განაცხადა, სსრ კავშირის დელეგაციაა სრულიადაც არ მოითხოვს, რომ დაარღვევს დღევანდელი სხდომის პროცედურა, ე. ი. საკითხი, რომლის განხილვაც სსრ კავშირის დელეგაციას აფიცებლად მიაჩნია, განხილულ იქნას საზიანოდ ბულგარეთის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებისა, რომელიც დღეს მოსმენილ უნდა იქნას.

კომიტეტის, თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, შეუძლია ეს უფრო გვიან გააკეთოს. მაგრამ საბჭოთა დელეგაციაა ისწრაფვის მხოლოდ ერთი რამისაკენ, რომ შეჩერებულ და გაუქმებულ იქნას სასიკვდილო განაჩენები. ეს, როგორც მე მესმის, მთელი პოლიტიკური კომიტეტის სურვილიც არის.

მე მხოლოდ მოგაგონებთ — მაუხდავად იმისა, თუ როგორ გადაწყდება განახლდეს ეს საკითხი თუ არა — რომ მაშინ, როცა ჩვენ ამ საკითხს ვიხილავდით ოთხი დღის განმავლობაში ეჭვი აღარავის დაჩნენია, რომ პოლიტიკური კომიტეტის საერთო სურვილი და საერთო მისწრაფება ის იყო, რომ ეს განაჩენები შეეჩერებინათ, რომ გაეუქმებინათ საბერძნეთში დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენები. ამან თავი იჩინა კენჭისყრაშიც. ამან თავი იჩინა ამ ფორმულაშიც, რომელიც მიღებულ იქნა ეკვადორის წინადადებით. ამან თავი იჩინა იმ განმარტებაშიც, რომელიც გააკეთეს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს ფორმულა. ჩვენ სრულიად არა გვსურს ახალი კამათი დავიწყოთ, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, ჩვენ გვსურს მივაღწიოთ ერთ რამეს — შეჩერებულ იქნას დემოკრატიული მოძრაობის 9 მსჯავრდადებული მოღვაწისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა. იმედი მაქვს, რომ ამ საქმეში მხარს დაგვიჭერს კომიტეტის უმრავლესობა.

„ჩვენ ამას მოვითხოვთ. დაჟინებით მოვითხოვთ: შეაჩერეთ სასიკვდილო განაჩენთა გამოტანა; გაუქმეთ სასიკვდილო განაჩენები. ამას მოვითხოვდით და ახლაც ამას მოვითხოვთ“.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ დახურა კომიტეტის დილის სხდომა.

ჩინეთის სახალხო მთავრობის ორგანოები მუშაობას შეუდგნენ

პეკინი, 3 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ 1 ნოემბერს ოფიციალურად დაიწყო მუშაობა ყველა სამინისტრომ, კომისიებმა, მეცნიერებათა აკადემიამ და სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს გამგებლობაში მყოფმა სამმართველოებმა და ბანკებმა.

1 ნოემბერს შედგა წყალთა მეურნეობის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს და განათლების სამინისტროს, აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს და საგამომცემლო სამმართველოს თანამშრომელთა კრებები.

გამოუვნა შანხაიში, მიძღვნილი სოციალისტური მშენებლობისადმი სსრ კავშირში

პეკინი, 3 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, საბჭოთა კინომუშაკების ჯგუფმა შანხაიში დაიწყო გადაღება ფერადი დოკუმენტალური ფილმისა „შანხაის დღე“, აგრეთვე მუშაობა ორ სხვა ფილმზე „ჩინელი ხალხის რევოლუციური ბრძოლა“ და „ახალი დემოკრატიის შექმნა ჩინეთში“.

ჩინეთ-საბჭოთა მეგობრობის შანხაის საზოგადოებამ მოაწყო საბჭოთა თეატრისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.

შანხაის რუსული ენის ინსტიტუტმა მოაწყო გამოფენა, მიძღვნილი სოციალისტური მშენებლობისადმი საბჭოთა კავშირში. გამოფენა ათეულ ათასობით კაცმა ნახა.

ამერიკის კომპარტიის II ხელმძღვანელი სანინდრით გაათავისუფლეს

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. (საკდესი). 3 ნოემბერს საზოგადოებრივი აზრის გავლენით ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო სასამართლომ გაიუქმა მოსამართლე მედინის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ამერიკის კომპარტიის 11 ხელმძღვანელი საწინდრით არ გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან. სასამართლომ გადაწყვიტა გაათავისუფლოს კომპარტიის ხელმძღვანელები საწინდრით, სანამ უმაღლესი სასამართლო ორგანოები განიხილავდნენ აპელაციას მათი საქმის გამო.

1 ნოემბერს სხდომაზე, როცა ამ საკითხს სააპელაციო სასამართლოში განიხილავდნენ, სახელმწიფო ბრალმდებელმა გაილაშქრა კომპარტიის ხელმძღვანელთა საწინდრით განთავისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ განაცხადა, თუ სასამართლო იძულებული გახდება საწინდრით გაათავისუფლოს კომუნისტები, მთავრობა რჩევას იძლევა, რომ ამ საწინდრის საერთო თანხამ 1 მილიონი დოლარი შეადგინოსო. სახელმწიფო ბრალმდებელმა კონკრეტულად ურჩია სააპელაციო სასამართლოს დაენიშნა საწინდრად 7 კომუნისტისათვის — დენისის, პოტაშის, სტახელის, ვილიამსონის, ჰოლის, გრინისა და ტომპსონისთვის ასა-ასი ათასი დოლარი და ოთხი სხვა კომუნისტისათვის — დევისის, უინსტონის, გეიტსისა და უინტერისათვის — 75 ათასი დოლარი თვითეულისათვის. მაგრამ 3 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ უარყო ეს რეკომენდაცია და დაადგინა გაათავისუფლოს შვიდი კომუნისტი — ტომპსონი, დენისი, უინსტონი, გეიტსი, გრინი, უინტერი და ჰოლი ოცა-ოცი ათასი დოლარი საწინდრით სასამართლოს დადგენილებით ოთხი სხვა კომუნისტი—პოტაში, ვილიამსონი, სტახელი, რომლებიც ამჟამად ელიან ამერიკის შეერთებული შტატებიდან მათი გასახლების საკითხის გადაწყვეტას, და დენისი განთავისუფლებულ უნდა იქნან 30 ათასი დოლარი საწინდრით თვითეული.

აფრიკის ვაღაქცევა ინგლის-ამერიკის სამხედრო ბაზად

ლონდონი, 4 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „დეილი უორკერის“ დიპლომატიური მიმოხილველი ეხება დარ-ეს-სალამიდან (ტანგანიკა) რეიტერის სააგენტოს მიერ მიღებულ ცნობას, რომ ამერიკის დიპლომატიური და სამხედრო მისია ათვალიერებს აღმოსავლეთი აფრიკის ნავსადგურებს, და წერს, რომ ამ მგზავრობის ნამდვილი მიზანია სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების შექმნის გეგმის შემუშავება.

„ეს არის შუა აღმოსავლეთისათვის აფრიკაში ბაზების შექმნისა და ინდოეთის ოკეანისადმი კონტროლის დაწესების საერთო სტრატეგიული გეგმის ნაწილი“.

გაზეთი ეხება ამ რაიონში რკინიგზების მშენებლობას ამ მიზნით, რომ დამყარებულ იქნას კავშირი ღრმაწყლიან ნავსადგურთან, რომელიც ლატვარში შენდება, და აგრეთვე იუწყება, რომ დარ-ეს-სალამში აშენებენ ორ ძირდასაშვებ მოედანს, დიდ საბანაკო სადგომებს და ღრმაწყლიან მისადგომებს.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ მაკინიონროდი (კენია) სწრაფად იქცევა შუა აღმოსავლეთის მომარაგების მთავარ ბაზად.

ნეკროლოგი

ა. აბრამოვიჩ-ოლეთიანი

გარდაიცვალა საფინანსო-საბანკო სისტემის ძველი მუშაკი არტამონ ანდრიას-ძე გოლეთიანი.

ა. გოლეთიანი დაიბადა 1894 წელს ცაგერის რაიონის დაბა ლაილაშში. სწავლობდა ქუთაისში, შემდეგ თბილისში. დაამთავრა კიევის კომერციული ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტი. მუშაობდა უკრაინაში, შემდეგ აზერბაიჯანში, ხოლო 1923 წლიდან 1941 წლამდე საქართველოში. ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობანი, მუშაობდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილედ, შემდეგ სახელმწიფო ბანკის თბილისის საქალაქო კანტორის მმართველად.

ა. გოლეთიანი 1938 წელს შედის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) რიგებში და აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში. 1939 წელს ის არჩეულ იქნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.

1941 წელს ა. გოლეთიანი გადაყვანილ იქნა ქ. მოსკოვში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ და საოპერაციო სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა უკანასკნელ დრამდე.

ა. გოლეთიანის - სახით საფინანსო-საბანკო დარგის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა საუკეთესო სპეციალისტი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია და გამოცდილება მოახმარა მშრომელთა კეთილდღეობისათვის სამსახურს.

მისი სახელი მუდამ დარჩება ამხანაგების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი

სსრ კავშირის პირველობა ჭადრაკში

3 ნოემბერს ჭადრაკში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეთორმეტე ტურის ყველა პარტიაში მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლა.

ამ ტურში გელერმა მოუგო კოპილოვს, ბრონშტეინმა—მიკენასს, ბოლესლავსკიმ—ორონინს, ფურმანმა—ლილიენტალს, პეტროსიანმა—ლევენფიშს, კოტოვმა—ლიუბლინსკის.

რაგოზინ-სმისლოვის, სოკოლსკი-კერესის და ბოლმოვ-გოლდბერგის პარტიები გადაიდო. ტაიმანოვ-ფლორის პარტია ყაიმით დამთავრდა.

თორმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: კოტოვი —8,5 ქულა თორმეტში, ბრონშტეინი—7 ქულა თორმეტში, ბოლესლავსკი და კერესი—6,5 ქულა ცხრაში, გელერი—6,5 ქულა ათში, ტაიმანოვი—6,5 ქულა თერთმეტში, სმისლოვი—6 ქულა ათში, ფლორი—5,5 ქულა ცხრაში და ხოლმოვი—5,5 ქულა ათში.

4 ნოემბერს გათამაშდება დაუმთავრებელი პარტიები. (საკდესი).

ფეხბურთი

გუშინ, 4 ნოემბერს, მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე შედგა ფეხბურთში „სსრ კავშირის თასის“ 1949 წლის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და „ტორპედო“.

მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 2:1.

ამრიგად, „სსრ კავშირის თასი“ 1949 წლის სეზონში მოიპოვა სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის გუნდმა „ტორპედომ“.

თეატრებში

6 ნოემბერს: **რუსთაველის სახელობის** — „ჩაძირული ქვები“ (დღისით), „უჩა უჩარდია“ (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — „დ. კლდიაშვილის პიესები“ (დღისით), „ურიელ აკოსტა“ (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**— „განმარტოებული სახლი შესახვევში“ (დღისით და საღამოს); **მუსიკალური კომედიის**—„თბილისის ცის ქვეშ“ (დღისით და საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „მართალი კაცი“ (11 და 2 საათზე დღისით), „ორი კაპიტანი“ (საღამოს 7 საათზე).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ა. წ. 18 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მარის ქ. № 1) ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ა. ი. ფიცხელაური** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „К изучению свойств восстановительных декоративных глазурей невысокого огня“

ა. წ. 30 ნოემბერს, დღის 2 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მარის ქ. № 1) ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ხ. ნ. ძოწრიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დამუშავება ლენინის მიერ“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ა. წ. 22 ნოემბერს, დღის 3 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ასისტენტი **ვახტანგ ვასილის-ძე სუთიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საქროსალპინქსების კომბინირებული მეთოდით მკურნალობა“.**

ოფიციალური ოპონენტები: